საქართველოს მთავრობის

დადგენილება №220

2023 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III, №33, 31/03/2010 წელი) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 128-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„128	„eCustoms-სა“ და გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში არსებული საგადასახადო/საბაჟო დეკლარაციის ან/და რეექსპორტის დეკლარაციის შესახებ, საგადასახადო ანგარიშფაქტურის შესახებ, სასაქონლო ზედნადების შესახებ, საგადასახადო დოკუმენტის შესახებ, სალარო აპარატის Z – რეპორტების შესახებ, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის შესახებ დამუშავებული ინფორმაციის მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის საშუალებით მიწოდება		ერთ პირზე ინფორმაციის მოთხოვნა – 0.5 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**